

# ყოველკვირეული განახლება მთავარი ეკონომისტისგან

14 მარტი 2022

**ოთარ ნადარაია**  
მთავარი ეკონომისტი,  
თიბისი ჯგუფი

**ანა მჟავანაძე**  
უფროსი მაკრო-ფინანსური ანალიზის  
განყოფილება, თიბისი ბანკი


**ცოტნე მარღია**  
ანალიტიკოსი,  
თიბის ბანკი

კიდევ ერთი დრამატული კვირა გავიდა და მოვლენათა სამომავლო განვითარების კუთხით გაურკვეველობა კვლავ მაღალია. ამავდროულად, საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენის მხრივ, როგორც ჩანს, პროგნოზი კვლავ [თიბისი კაპიტალის დროული და დაგვიანებული გადანყვეტის სცენარებს](#) შორისაა.

[ჩვენი მოლოდინების](#) შესაბამისად, წინა კვირაში ლარი გამყარდა, რაც სავარაუდოდ ასახავდა სავალუტო ბაზრის მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებას, რომ ლარი ზედმეტად იყო გაუფასურებული. ამაზე ასევე მიუთითებს [ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენცია](#). მაშინ, როდესაც, განსაკუთრებით შექმნილ ვითარებაში, ლარის წონასწორულ კურსზე საუბარი რთულია, თიბისი კაპიტალის სამ ფაქტორიანი ჩარჩოს მიხედვით, მართალია მხოლოდ მცირედით, თუმცა მაინც ახლა უკვე ლარი შეფასებასთან შედარებით უფრო გამყარებული ჩანს, ვიდრე გაუფასურებული. ასევე საყურადღებოა, რომ დეპოზიტების უფრო მეტად ვალუტაში და ამავდროულად, სესხების უფრო მეტად ლარში ფორმირების ალბათობა გაზრდილია, რასაც ე.წ. [„შოკის გამაძლიერებლის“](#) საკმაოდ ძლიერი ეფექტი აქვს.


განახლებული მონაცემების მხრივ, გასულ კვირაში, ეროვნული ბანკის თებერვლის ბალანსი გამოქვეყნდა და საერთაშორისო რეზერვების მცირედი კლება დაფიქსირდა. სავარაუდოდ, ამის ძირითადი მიზეზი მთავრობის სავალუტო ოპერაციები იყო. ჩვენი შეფასებით, მომდევნო პერიოდში ამ კუთხით საპირისპირო დინამიკა უნდა ვიხილოთ, რადგანაც მოსალოდნელია, რომ ბიუჯეტის საგარეო დაფინანსება გაიზრდება.

**საქართველოს სავაჭრო პარტნიორების სავალუტო კურსები აშშ დოლართან (1-სექ-2021 = 100)**




11-მარ-2022-ის მდგომარეობით  
წყარო: სებ

**ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი სფი ინფლაციიდან დაყრდნობით (პროცენტული გადახრა კერიოდის საშუალოდან)**



11-მარ მდგომარეობით; ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას; ბოლო დროს თურქეთში, საქართველოსთან შედარებით, მფი და სფი ინფლაციებს შორის ბევრად დიდი სხვაობის გამო თურქულ ლირასთან რეალური კურსი მფი ინფლაციით უნდა შეფასდეს. აღსანიშნავია, რომ იგივე ვარაუდები სხვა ვალუტებისთვისაც, მაგ. ევროსთვის, რელევანტურია. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ლარის რეალური ეფექტური კურსი აშუაგამდ უფრო მეტად გაუფასურებულ ლარზე მიუთითებს. მფი-ზე დაყრდნობით ლარის რეალური ეფექტური კურსის შეფასება ჩვენს მომავალ პუბლიკაციებში გამოქვეყნდება.  
წყარო: სებ, შესაბამისი სტატისტიკის ოფისები, თიბისი კაპიტალი


**დეპოზიტების თ/თ ცვლილების დღიური შეფასება ვალუტაზე მისხვით (საოცნურად შესწორებული, %)**



7-მარ-2022-ის მდგომარეობით  
წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი


ასევე, საქსტატმა 2021 წლის მე-4 კვარტალის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებლები გამოქვეყნა. მოლოდინების შესაბამისად, სააქციო კაპიტალის კომპონენტი სუსტი იყო, თუმცა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ვალის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. შემოსავლების რეინვესტირების მაჩვენებელი კი, შედარებით დაბალი იყო.

**სებ-ის საერთაშორისო რეზერვები და სავალუტო ინტერვენციები (მილიონი აშშ დოლარი)**



შენიშვნა: თებ-22-ის წმინდა რეზერვების დონე გაანგარიშებულია სებ-სა და კომერციულ ბანკებს შორის სავალუტო სვოპ ოპერაციებისა და ფინანსთა სამინისტროს სსფ-ისადმი ვალდებულებების დაშვებით. ფაქტობრივი მონაცემები და ასევე თებ-მარ-22-ში სებ-ის აუქციონის გარეშე განხორციელებული ინტერვენციები მარ-აპრ-ის ბოლოს გამოქვეყნდება, შესაბამისად.  
წყარო: სებ, ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

**FDI კომპონენტების მიხედვით (მშპ-ის %)**



შენიშვნა: 2020 წლის მე-4 კვარტალში ინვესტიციების შემცირების მიზეზი რამდენიმე საწარმოს რეზიდენტის მფლობელობაში გადასვლა იყო, რაც არ იყო დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინებასთან, თუმცა ინვესტიციები დაახლ. 295 მლნ. აშშ დოლარით შეამცირა.  
წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი





**თიბისი კაპიტალი**